



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

მეორე სექცია

მაგგიოს და სხვების საქმე იტალიის წინააღმდეგ  
**CASE OF MAGGIO AND OTHERS v. ITALY**

(განაცხადები №. 46286/09, 52851/08, 53727/08, 54486/08 და 56001/08)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

31 მაისი 2011

გადაწყვეტილება საბოლოო გახდება კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტით  
გათვალისწინებული გარემოებების შემთხვევაში. შესაძლოა ის დაექვემდებაროს  
რედაქციული ხასიათის გადასინჯვას



<sup>1</sup> MAGGIO & OTHERS v. ITALY JUDGMENT  
**საქმეზე Maggio and Others v. Italy,**

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პალატამ (მეორე სექცია),  
შემდეგ მოსამართლეთა შემადგენლობით:

ფრანსუაზა ტულკენისი, თავმჯდომარე,  
დავით ქოსიენი,  
ოთო ბჯორგვინსონი,  
დრაგოლუბ პოპოვიჩი,  
ანდრას საჯო,  
ისილ კარაკასი,  
გუიდო რაიმონდი, მოსამართლეები,

და ქ-ნი ფრანსუაზ ელენს-პასოსი, სექციის რეგისტრატორის მოადგილე,

იმსჯელა განმარტოებით 2011 წლის 10 მაისს,

და ამავე დღეს გამოიტანა წინამდებარე გადაწყვეტილება:

## პროცედურა

1. საქმე მომდინარეობს იტალიის 5 მოქალაქე ბ-ნი ალდო მაგგიოს, ბ-ნი მასიმილიანო გაბრიელის, ბ-ნი კარლო ფაჩიოლის, ქ-ნ ემანუელა ფორგიოლის და ქ-ნ მარია ზანარდანის (შემდგომში “განმცხადებლები”) მიერ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (“კონვენცია”) 34-ე მუხლის თანახმად, 2009 წლის 13 აგვისტოს, 28 ოქტომბერს, 3 ნოემბერს, 4 ნოემბერს და 12 ნოემბერს იტალიის რესპუბლიკის წინააღმდეგ შეტანილი განაცხადებიდან (№46286/09, 52851/08, 53727/08, 54486/08 და 56001/08).
2. პირველი განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა ქ-ნი ლ. პეტრაჩი, ლეჩეში მოღვაწე ადვოკატი. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე განმცხადებლის ინტერესებს წარმოადგენდა ბ-ნი ა. კარბონელი, ბრეშიაში მოღვაწე ადვოკატი. იტალიის მთავრობის (“მთავრობა”) ინტერესებს წარმოადგენდნენ მთავრობის აგენტი ქ-ნი ე. სპატაფორა და თანააგენტები ბ-ნი 6. ლეტტიერი და ქ-ნი პ. აკარდო.
3. განმცხადებლები ამტკიცებდნენ, რომ საკანონმდებლო ჩარევა, რომელიც განხორციელდა სამართალწარმოების განმავლობაში, დისკრიმინაციული ხასიათის იყო და არღვევდა მათ სამართლიანი სასამართლოს უფლებას. პირველი განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ ხენებულის შედეგად მას ჩამოართვეს საკუთრება.
4. 2010 წლის 8 ივნისს სასამართლომ განაცხადები ნაწილობრივ დაუშვებლად ცნო და გადაწყვიტა განმცხადებლის მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტთან, მე-13 მუხლსა და მე-14 მუხლთან დაკავშირებული პრეტენზიები ეცნობებინა მთავრობისათვის. მთავრობას ასევე ეცნობა სავარაუდო დისკრიმინაციასთან დაკავშირებული პრეტენზიების შესახებ იმ პირებთან მიმართებაში, რომელთა პენსიებიც არ იყო გაუქმებული, ისევე როგორც კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ელ

მუხლთან დაკავშირებული პრეტენზიები. პალატამ ასევე მიიღო გადაწყვეტილება თანადროულად ემსჯელა განაცხადების დაშვებადობის საკითხესა და არსებით მხარეზე (29-ე მუხლის 1-ლი პუნქტი). სასამართლო რეგლამენტის 54-ე მუხლის მე-2(გ) ქვეპუნქტით დადგენილი წესით, სასამართლომ ასევე გადაწყვიტა, რათა რეგლამენტის 41-ე მუხლის თანახმად უპირატესი წესით განეხილა განაცხადი და მხარებისათვის შეეთავაზებინა წერილობითი კომენტარების წარმოდგენა ზემოხსენებულ განაცხადებთან დაკავშირებით.

5. პალატამ ასევე გადაწყვიტა მხარეებისათვის ეცნობებინა, რომ იგი განიხილავდა წინამდებარე საქმეებში პილოტური გადაწყვეტილების გამოყენების შესაფერისობას (*Broniowski v. Poland* [GC], 31443/96, §§ 189-194 და სამოტივაციო ნაწილი, ECHR 2004-V, და *Hutten-Czapska v. Poland* [GC] no. 35014/97, ECHR 2006-... §§ 231-239 სამოტივაციო ნაწილი) და მხარეებს მოსთხოვა ხსენებულთან დაკავშირებით კომენტარების წარდგენა. მიღებული კომენტარების განხილვის შემდგომ პალატამ გადაწყვიტა არ გამოყენებინა პილოტური გადაწყვეტილების პროცედურა.

## ვაჟაფები

### I. საქმის გარემოებები

6. განმცხადებლები შესაბამისად დაიბადნენ 1938, 1942, 1939, 1942 და 1940 წლებში და ცხოვრობენ იტალიაში.

### ა. საქმის გარემოებები

#### 1. ბ-ნი მაგგიო

7. ბ-ნი მაგგიო მუშაობდა შვეიცარიაში 1980 წლიდან 1992 წლამდე.

8. 1997 წლის 25 ივნისს, ბ-ნმა მაგგიომ მიმართა *Istituto Nazionale della Previdenza Sociale* ("INPS") იტალიის სოციალური მზრუნველობის გაერთიანებას, რათა მას გადაესინჯა მისი ასაკობრივი პენსია და მოქედინა მისი გაცემა რეალურად მიღებული ანაზღაურების საფუძველზე ("retribuzione effettiva") რომელსაც იგი იღებდა წლების განმავლობაში შვეიცარიაში დასაქმებისას, 1962 წლის იტალია-შვეიცარიის კონვენციის შესაბამისად.

9. დაუდგენელ დღეს, INPS –მა უარყო მისი მოთხოვნა, რადგანაც გამოანგარიშება დაფუძვნებული უნდა ყოფილიყო შვეიცარიაში მიღებულ ანაზღაურებაზე, ხოლო შემდგომში კი უნდა შესწორებულიყო იმ ცხრილის გათვალისწინებით, რომელიც მოცემული იყო 1978 წლის 4 იანვრის №324 ცირკულარში.

10. ბ-ნმა მაგგიომ სამართალწარმოება აღმრა ლეჩეს ტრიბუნალის წინაშე და მოითხოვა, რომ ასკობრივი პენსია უნდა გამოანგარიშებულიყო მის მიერ რეალურად მიღებული ანაზღაურების საფუძველზე (დასაქმების ბოლო 5 წლის განმავლობაში) და იმ საპენსიო შენატანების საფუძველზე, რომლის ნაწილიც მას შექმნდა შვეიცარიაში ხოლო ნაწილი კი იტალიაში.

11. რეგისტრატურაში წარდგენილი 2002 წლის 8 მაისს გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილებით, მისი პრეტენზია უარყოფილი იქნა

12. ბ-ნმა მაგგიომ სააპელაციო საჩივრით მიმართა ლეჩეს სააპელაციო სასამართლოს, რომელმაც რეგისტრატურაში წარდგენილი 2003 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილებით უარყო სააპელაციო საჩივარი. სასამართლომ გაითვალისწინა ტექნიკური ექსპერტის მოხსენება იტალია-შვეიცარიის კონვენციის 23-ე მუხლითან დაკავშირებით (იხ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა), რომელიც ითვალისწინებდა შვეიცარიაში გადახდილი საპენსიო შენატანების იტალიის საპენსიო სისტემაში გადამისამართებას, რათა გამოთვლილიყო ასაკობრივი პენსია და უზრუნველყოფდა იტალიის კანონმდებლობის პრივილეგიას. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ პენსიის გამოანგარიშება უნდა განხორციელებულიყო იტალიაში დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელი ნაკლებად ხელსაყრელი იყო ვიდრე შვეიცარიის სისტემა. და მართლაც, იტალიის კანონმდებლობა (1968 წლის 27 აპრილის დადგენილება №488) პენსიის გამოანგარიშებას ახდენდა საპენსიო შენატანების უფრო მაღალი ნიხოვების საფუძველზე, ვიდრე ეს ხდებოდა შვეიცარიაში და ამგვარად ითვალისწინებდა უფრო ნაკლებ პენსიას ვიდრე ამას ელოდა ბ-ნი მაგგიო.

13. 2008 წლის 11 დეკემბრის გადაწყვეტილებით, რომელიც რეგისტრატურაში იქნა წარდგენილი 2009 წლის 13 თებერვალს, საკასაციო სასამართლომ უარყო ბ-ნი მაგგიოს პრეტენზია მას შემდგომ რაც ასევე უარი განაცხადა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოში პრეტენზიის წარმართვის პირველად მოთხოვნაზე. საკასაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული კრიტერიუმები საბოლოო ჯამში აისახა 2006 წლის 27 დეკემბრის №296 კანონის 1-ლი მუხლის 777-ე პუნქტში (“კანონი 296/2006”), რომელსაც გააჩნდა უკუქცევითი ძალა. ხსენებული კანონი არ იქნა არაკონსტიტუციურად მიჩნეული საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ 2008 წლის 23 მაისს გამოტანილ გადაწყვეტილებაში (იხ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა).

## 2. ბ-ნი გაბრიელი

14. 2005 წელს ბ-ნმა გაბრიელიმ თხოვნით მიმართა INPS –ს, რათა მას განესაზღვრა პენსია იმ საპენსიო შენატანების საფუძველზე, რომელსაც იგი იხდიდა შვეიცარიაში მუშაობისას 1963 წლის ნოემბერსა და 2001 წლის ივნისს შორის არსებულ პერიოდში. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად INPS იყენებდა თეორიულ გამომუშავებას (“retribuzione teorica”) და არა რეალურ გამომუშავებას (“retribuzione effettiva”). პირველი წესით გამოანგარიშების შემთხვევაში შენატანების პროპორციები შვეიცარიაში იყო (8%) ხოლო იტალიაში კი (32,7%), რაც იწვევდა იმ თანხის 25 % ით შემცირებას, რომლის საფუძველზეც უნდა გამოთვლილიყო პენსია და ამიტომაც შედეგად მოყვებოდა თავად პენსიის ამავე პროცენტით შემცირება. შესაბამისად 2006 წელს ბ-ნმა გაბრიელმა აღძრა სასამართლო სამართალწარმოება.

15. ბრეშიას ტრიბუნალის (შრომითი სამართლის სექცია) 2006 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ-ნი გაბრიელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა იმ დროს ძალაში მყოფი საკასაციო სასამართლოს პრეცედენტული სამართლის საფუძველზე (იხ. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა).

## 16. ხსენებული გადაწყვეტილება გაასაჩივრა INPS მა.

17. 2007 წლის 7 აგვისტოს გადაწყვეტილებით ბრეშიას სააპელაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში შესული №296/2006 წლის კანონზე დაყრდნობით. ბ-ნმა გაბრიელმა არ გაასაჩივრა ეს გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში, რადგანაც უშედეგოდ მიაჩნდა ხსენებული წინამდებარე საქმის გარემოებებში. ამგვარად, გადაწყვეტილება საბოლოო გახდა 2008 წლის 7 აგვისტოს.

## 3. ბ-ნი ფაჩიოლი

### 18. ბ-ნ ფაჩიოლის ეკუთვნოდა ასაკობრივი პენსია 1999 წლის 1 აპრილიდან.

19. 2006 წელს ბ-ნმა ფაჩიოლიმ მოსთხოვა INPS –ს, რათა მას განესაზღვრა მისი პენსია იმ საპენსიო შენატანების საფუძველზე, რომელსაც იგი იხდიდა შვეიცარიაში 1958 წლის 1 დეკემბრიდან 1999 წლის 31 მარტამდე პერიოდში მუშაობისას. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად INPS იყენებდა თეორიულ გამომუშავებას (“*retribuzione teorica*”) და არა რეალურ გამომუშავებას (“*retribuzione effettiva*”). პირველი წესით გამოანგარიშების შემთხვევაში შენატანების პროპორციები შვეიცარიაში იყო (8%) ხოლო იტალიაში კი (32.7%), რაც იწვევდა იმ თანხის 25 % ით შემცირებას, რომლის საფუძველზეც უნდა გამოთვლილიყო პენსია და ამიტომაც შედეგად მოყვებოდა თავად პენსიის ამავე პროცენტით შემცირება. შესაბამისად 2006 წელს ბ-ნმა ფაჩიოლიმ აღმრა სასამართლო სამართლწარმოება.

20. ბრეშიას ტრიბუნალმა (შრომითი სამართლის სექცია) 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ბ-ნი ფაჩიოლის პრეტენზიები უარყო ძალაში შესული №296/2006 წლის კანონსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. ბ-ნმა ფაჩიოლიმ არ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, რადგანაც უშედეგოდ მიაჩნდა გასაჩივრება არსებული პრეცედენტული სამართლის ფონზე.

## 4. ქ-ნი ფორგიოლი

21. ქ-ნ ფორგიოლის მიეკუთვნა ასაკობრივი პენსია 1995 წლის 1 აპრილიდან და მარჩენალის პენსია, როგორც ქვრივს, რადგანაც მისი ქმარი პენსიონერი გახდა 1997 წლის 1 აპრილიდან, მისი ქმრის სიკვდილის შემდგომ.

22. 2006 წელს ქ-ნმა ფორგიოლიმ თხოვნით მიმართა INPS –ს, რათა მას განესაზღვრა მისი პენსია იმ საპენსიო შენატანების საფუძველზე, რომელსაც იგი და მისი მეუღლე იხდიდნენ შვეიცარიაში 1959 წლის 1 აგვისტოდან 1994 წლის 30 ნოემბრამდე პერიოდში მუშაობისას. პენსიის გამოანგარიშების საფუძვლად INPS იყენებდა თეორიულ გამომუშავებას (“*retribuzione teorica*”) და არა რეალურ გამომუშავებას (“*retribuzione effettiva*”). პირველი წესით გამოანგარიშების შემთხვევაში შენატანების პროპორციები შვეიცარიაში იყო (8%) ხოლო იტალიაში კი (32.7%), რაც იწვევდა იმ თანხის 25 % ით შემცირებას, რომლის საფუძველზეც უნდა გამოთვლილიყო პენსია და ამიტომაც შედეგად მოყვებოდა თავად პენსიის

ამავე პროცენტით შემცირება. შესაბამისად 2006 წელს ქნ-ნმა ფორგიოლიმ აღმრა სასამართლო სამართლით შემცირება.

23. ბრეშიას ტრიბუნალმა (შრომითი სამართლის სექცია) 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქნი ფორგიოლის პრეტენზიები უარყო ძალაში შესული №296/2006 წლის კანონსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. ქნ-ნმა ფორგიოლიმ არ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, რადგანაც უშედეგოდ მიაჩნდა გასაჩივრება არსებული პრეცედენტული სამართლის ფონზე.

## 5. ქნი ზანარდინი

24. ქნ-ნ ზანარდინის ასაკობრივი პერიოდი 1997 წლის 1 აგვისტოდან.

25. 2006 წელს ქნ-ნმა ზანარდინიმ თხოვნით მიმართა INPS-ს, რათა მას განესაზღვრა მისი პერიოდი მისი პერიოდი შენატანების საფუძველზე, რომელსაც იგი და მისი მეუღლე იხდიდნენ შვეიცარიაში 1960 წლის მარტიდან 1997 წლის ივლისამდე პერიოდში მუშაობისას. პერიოდის გამოანგარიშების საფუძვლად INPS იყენებდა თეორიულ გამომუშავებას ("retribuzione teorica") და არა რეალურ გამომუშავებას ("retribuzione effettiva"). პირველი წესით გამოანგარიშების შემთხვევაში შენატანების პროპორციები შვეიცარიაში იყო (8%) ხოლო იტალიაში კი (32.7%), რაც იწვევდა იმ თანხის 25 % ით შემცირებას, რომლის საფუძველზეც უნდა გამოთვლილიყო პერიოდი და ამიტომაც შედეგად მოყვაბოდა თავად პერიოდის ამავე პროცენტით შემცირება. შესაბამისად 2006 წელს ქნ-ნმა ზანარდინიმ აღმრა სასამართლო სამართლით შემცირება.

26. ბრეშიას ტრიბუნალმა (შრომითი სამართლის სექცია) 2008 წლის 20 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ქნი ზანარდინის პრეტენზიები უარყო ძალაში შესულ №296/2006 წლის კანონსა და საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. ქნ-ნმა ფორგიოლიმ არ გაასაჩივრა ხსენებული გადაწყვეტილება, რადგანაც უშედეგოდ მიაჩნდა გასაჩივრება არსებული პრეცედენტული სამართლის ფონზე.

## II. შესაბამისი მროვნული კანონმდებლობა და პრაქტიკა

### ა) სოციალური დაცვის იტალია-შვეიცარიის კონვენცია

27. 1962 წლის 14 დეკემბრის სოციალური დაცვის შესახებ იტალია-შვეიცარიის კონვენციის გარდამავალი დებულებები განსაზღვრავენ, რომ (არაოფიციალური თარგმანი):

"1. რაც შეეხება შვეიცარიას, ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც დაზღვეული მოვლენა მოხდა ამ კონვენციის ძალაში შესვლამდე. თუმცა ასაკობრივი პერიოდი წინამდებარე დებულებების შესაბამისად მხოლოდ მაშინ იმოქმედებს, თუ დაზღვეული მოვლენა მოხდა 1959 წლის 21 დეკემბრის წინ და თუკი შენატანები არ იქნა გადამისამართებული ან არ გადასამისამართდება ან ანაზღაურდება 1951 წლის 17 ოქტომბრის კონვენციის ან წინამდებარე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად (...) )

2. რაც შეეხება იტალიას ანაზღაურება უნდა განხორციელდეს ამ კონვენციის დებულებების შესაბამისად, როდესაც დაზღვეული მოვლენა მოხდება ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს ან ამის შემდგომ. მიუხედავად ხსენებულისა, როდესაც დაზღვეული მოვლენა ხდება ხსენებულ თარიღზე ადრე, ანაზღაურება უნდა განხორციელდეს წინამდებარე კონვენციის თანახმად მისი

ძალაში შესვლის დღიდან, თუკი პენსიის გაცემა შეუძლებელი იყო დაზღვევის პერიოდის არასაკმარისობის გამო და მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი შენატანები არ იქნა ანაზღაურებული იტალიის სოციალური დაზღვევის სისტემის შესაბამისად.

3. ზემოხსენებული დებულებების გამოკლებით, წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლამდე არსებული დაზღვევის, შენატანების გადახდის და ქვეყანაში ცხოვრების პერიოდები შილებულ იქნება მხედველობაში.

5. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში, იტალიის კანონმდებლობის თანახმად საპენსიო ასაკის მიღწევისას, იტალიის მოქალაქეს შეუძლია, მე-7 მუხლის გადახვევით, მოითხოვოს, რომ მის და მისი დამსაქმებლების მიერ გადახდილი შენატანები გადარიცხულ იქნება იტალიის სადაზღვევო სისტემაში იმ პირობით, რომ ამ პირებმა დატოვეს შვეიცარია და მუდმივად საცხოვრებლად გადაფილება იტალიაში ან მესამე ქვეყანაში იმ წლის დასრულებამდე, რომელ წელსაც მათ მიაღწიეს საპენსიო ასაკს. 1951 წლის 17 ოქტომბრის კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ეხება ამგვარად გადარიცხული შენატანების შემდგომ ანაზღაურებას და ოდენობას.”

28. 1951 წლის 17 ოქტომბრის სოციალური დაზღვევის შესახებ იტალია-შვეიცარიის კონვენციის მე-5 მუხლის თანახმად (არაოფიციალური თარგმანი):

“(4) იტალიის მოქალაქეები, რომელთაც არ ეხებათ წინა ქვეპუნქტი (\*) ან მათ მემკვიდრეებს, შეუძლიათ მოითხოვონ 1-ელ მუხლში (\*) მითითებული იმ შენატანების იტალიის სოციალური დაზღვევის სისტემაში გადამისამართება, რომელთაც ისინი და მათი დამსაქმებლები იხდინენ შვეიცარიის საპენსიო ასაკის ან სამეტკვიდრეო ფონდში. იტალიის საპენსიო სისტემაში უნდა უზრუნველყოს, რომ დაზღვეულმა პირებმა მიიღონ იტალიის კანონმდებლობით დადგენილი სარგებელი, რომელიც მოცემულია 1-ელ მუხლსა (\*) და იტალიის ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოცემულ აქტებში. იმ შემთხვევაში თუკი იტალიის შესაბამისი საპარამიტო დებულებების თანახმად, დაზღვეულ პირს არ შეეძლება პენსიის უფლებაზე პრეტენზის გაცხადება, იტალიის სოციალური უზრუნველყოფის სამსახურები, მოთხოვნის საფუძველზე, აუნაზღაურებენ შესაბამის პირს გადარიცხულ შენატანებს.

(5) როგორც ეს მითითებულია ზემოხსენებულ ქვეპუნქტში, შენატანების გადარიცხვა შესაძლოა მოთხოვნილ იქნება:

- (ა) თუკი იტალიის მოქალაქემ დატოვა შვეიცარია სულ მცირე ათი წლის წინ,
- (ბ) დაზღვეული მოვლენის დადგომისას.

იტალიის მოქალაქეს, რომლის შენატანებიც გადარიცხულ იქნა იტალიის სოციალური დაზღვევის სისტემაში, არ შეუძლია პრეტენზია განაცხადოს რაიმე სახის უფლებაზე შვეიცარიის საპენსიო და სამეტკვიდრეო დაზღვევასთან დაკავშირებით მის მიერ განხორციელებული შენატანების საფუძველზე. ასეთ პირს ან მის მემკვიდრეებს, შესაძლოა იმედი ჰქონდეთ, რომ მიიღობენ ჩვეულებრივ პენსიას მხოლოდ შვეიცარიის ასაკობრივ და სამეტკვიდრეო დაზღვევის სისტემიდან .. იმ პირების შესაბამისად, რომლებიც მოცემულია 1-ელ პუნქტში (\*).

29 (\*) ხსენებული ნიშნით აღნიშნული მუხლები არ გაუქმებულა 1962 წლის კონვენციის 26-ე მუხლის მე-3 პუნქტით, გარდა იმ მიზნებისათვის, რომლებიც მოცემულია 23-ე მუხლის მე-5 პუნქტში.

30. 1961 წლის კონვენციის 23-ე მუხლის გარდამავალი დებულებები განმტკიცდა 1969 წლის 4 ივლისის დამატებითი შეთანხმებით, რომლის 1-ლი მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტები შემდეგნაირად იკითხება:

“იტალიის კანონმდებლობის თანახმად საპენსიო ასაკის მიღწევისას, როდესაც პირს ადრე არ მიუღია პენსია, იტალიის მოქალაქეებს შეუძლიათ მე-7 მუხლის გადახვევით, მოითხოვონ, რომ მათ ან მათი დამსაქმებლების მიერ შვეიცარიის საპენსიო ასაკისა და სამეტკვიდრეო დაზღვევის სისტემაში გადახდილი შენატანები, გადაირიცხოს იტალიის დაზღვევის სისტემაში იმ პირობით, რომ მათ დატოვეს შვეიცარია იტალიაში მუდმივად საცხოვრებლად გადახვდის მიზნით..”

“იტალიის სოციალური უზრუნველყოფის სააგენტო იურიკის ასეთ შენატანებს დაზღვეული პირის ან მისი მემკვიდრეების სასარგებლოდ იმგვარად, რომ უზრუნველყოს იტალიის კანონმდებლობით დადგენილი სარგებლის მიღება, როგორც ეს მითითებულია კონვენციის 1-ელ მუხლში, იმ კონკრეტული მექანიზმების შესაბამისად, რომლებიც შემუშავებულია იტალიის ხელისუფლების ორგანოების მიერ. იმ შემთხვევაში თუკი არ არის შესაძლებელი რაიმე სახის სარგებლის მიღება ასეთი მექანიზმების საფუძველზე, იტალიის სოციალური უზრუნველყოფის სააგენტოებმა უნდა აუნაზღაურონ დაინტერესებულ მხარეებს გადარიცხული შენატანები”.

## ბ. №296/2006 კანონის ამოქმედებამდე არსებული პრეცედენტული სამართლი

31. 2004 წლის 6 მარტის საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, ისევე როგორც იმ დროს არსებული ანალოგიური იურისპრუდენცია, ადგენდა, რომ შესაბამისი კანონმდებლობის არ არსებობის ფონზე, რომელიც დაარეგულირებდა შენატანების გადარიცხვას, დასაქმებული პირის პენსიის გამოთვლის მეთოდი უნდა დაფუძნებულიყო ამ პირის მიერ რეალურად გამომუშავებული თანხების ოდენობას, აქ იგულისხმება ასევე ნებისმიერი სამუშაო, რომელიც პირმა განახორციელა შვეიცარიაში, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ შვეიცარიაში გადახდილი შენატანები, რომლებიც გადაირიცხა იტალიაში, გამოთვლილ იქნა გაცილებით დაბალი ნიხრით, ვიდრე ამას ადგენდა იტალიის კანონმდებლობა.

## გ. 2006 წლის 27 დეკემბრის №296/2006 კანონი

32. №296/2006 კანონის 1-ლი მუხლის 777-ე პუნქტი, რომელიც ძალაში შევიდა 2007 წლის 1 იანვარს, ადგენს (არაოფიციალური თარგმანი):

“1968 წლის 27 აპრილის პრეზიდენტის №488 დეკრეტის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და შემდგომში განხორციელებული ცვლილებები, იმგვარად უნდა იქნეს განმარტებული, რომ უცხო ქვეყნების უზრუნველყოფის სააგენტოებში გადახდილი შენატანების იტალიის საგადახდებულო დაზღვევის სისტემაში გადარიცხვისას, საერთაშორისო სოციალური დაზღვევის სფეროში მოქმედი ხელშეკრულებებისა და კონვენციების შედეგად, საპენსიო ანაზღაურება, რომელიც გამომდინარეობს საზღვარგარეთ განხორციელებული სამუშაო პერიოდიდან გამოითვლება შეტანილი შენატანების ოდენობის გამრავლებით ასზე და მიღებული შედეგის გაყოფით ინგალიფობის, ასაკობრივი პენსიის და სამექანიზრეო სისტემაში შეტანილი შენატანების ნიხრზე, რომელიც გამოიყენებოდა შენატანების შეტანის შესაბამის პერიოდში. უფრო ხელსაყრელი საპენსიო მომსახურება, რომელიც გაუქმდა წინამდებარე კანონის ძალაში შესვლამდე, არ მიიღება მხედველობაში”.

## დ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 23 მაისის №172 გადაწყვეტილება

33. 2007 წლის 5 მარტის დადგენილებით, საკასაციო სასამართლომ საეჭვოდ მიიჩნია №296/2006 კანონის სამართლიანობა და საკითხი განსახილველად გადასცა საკონსტიტუციო სასამართლოს. საკონსტიტუციო სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება გამოიტანა 2008 წლის 23 მაისს და დაადგინა შემდეგი.

34. №296/2006 კანონი ინოვაციური იყო. არ არსებობდა რაიმე სახის კონფლიქტი პრეცედენტულ სამართალში საპენსიო რეემითან მიმართებაში, არამედ მოქმედებდა მყარად დადგენილი ცალსახა ინტერპრეტაცია, რომლის თანახმადაც იტალიელ მუშას შეეძლო მოეთხოვა შვეიცარიაში შეტანილი საპენსიო შენატანების გადარიცხვა INPS სათვის, რათა მიედო იტალიის კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებელი ინგალიფობასთან, საპენსიო ასაკობ ან მექანიზრეობასთან დაკავშირებული პენსიის სახით, მათ შორის ანაზღაურებაზე დაფუძნებული პენსიის გამოანგარიშებით, ანუ შვეიცარიაში გამომუშავებული

ხელფასის საფუძველზე, მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ გადარიცხული შენატანები გადახდილ იქნა გაცილებით დაბალი შვეიცარული ნიხრით.

35. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა, რომელიც განსაზღვრავდა საპენსიო ანაზღაურებას, წარმოადგენდა სოციალური უზრუნველყოფის სისტემის ნაწილს, რომელიც აბალანსებდა ხელთარსებულ რესურსებსა და გაწეულ მომსახურებას. პენსიის გამოანგარიშებაში შესული ცვლილება, რაც განხორციელდა შენატანის კრიტერიუმიდან ანაზღაურებაზე დაფუძნებულ კრიტერიუმზე გადასვლით (“*retributivo*”), მიზნად არ ისახავდა სისტემის ფინანსური მდგრადობის გაუარესებას. ამგვარად, სადაო კანონით გათვალისწინებული განხორციელებული ცვლილებები მიზნად ისახავდა თანხვედრაში მოყვანა საპენსიო ანაზღაურების გადახდა და შეტანილი შენატანები იმ დროისათვის იტალიაში არსებულ სისტემასთან. კანონის თანახმად, საზღვარგარეთ გამომუშავებული ანაზღაურება (რომელიც გამოიყენებოდა პენსიის გამოსათვლელად) უნდა შეცვლილიყო იმავე საპოლიტიკური ნიხრების გამოიყენებით, რაც გამოიყენებოდა იმავე პერიოდში იტალიაში განხორციელებულ საპენსიო შენატანებთან მიმართებაში. ამგვარად, შესაბამისი ნორმა ნათელს ხდიდა თუ რა იგულისხმებოდა კონკრეტულ განმარტებით დებულებაში. შესაბამისად, ადგილი არ ჰქონდა სამართლებრივი განჭვრეტადობის პრინციპის დარღვევას. ნორმა არც დისკრიმინაციული იყო, რადგანაც იგი არ ეხებოდა იმ უპირატეს უფლებებს, რომლებიც ამ ნორმის ამოქმედებამდე მიიღეს პენსიონერებმა. ამასთანავე, კანონმდებლობა არ ახდენდა იმ პირთა დისკრიმინაციას, რომლებიც საზღვარგარეთ მუშაობდნენ, რადგანაც იგი მხოლოდ უზრუნველყოფდა სოციალური უზრუნველყოფის სისტემაში არსებულ ბალანსს და თავიდან ირიდებდა ისეთ სიტუაციას, როდესაც პირებს, რომლებმაც მცირე შენატანი შეიტანეს უცხო ქვეყნების საპენსიო ფონდებში, შესაძლებლობა მიცემოდათ მიედოთ იგივე პენსია, რომელსაც იღებდნენ ისინი, ვინც იტალიაში გაცილებით დიდი შენატანები შეიტანა. სადაო კანონი არ ითვალისწინებდა *ex post* შემცირებას, იმ კუთხით, რომ იგი ითვალისწინებდა განმარტებას, რომლის ლოგიკურად გამოტანაც შესაძლებელი იყო არსებული დებულებებიდან. და ბოლოს, ხსენებული სისტემა კვლავაც იძლეოდა საკმარისი და დამაკმაყოფილებელი პენსიის მიღების უფლებას, რომელიც აღექვატური იქნებოდა მუშის საცხოვრებლად. შესაბამისად ხსენებულ კანონის არაკონსტიტუციონური დაკავშირებული პრეტენზია აშკარად დაუსაბუთებელი იყო.

## სამართლი

### I. დაშვებადობა

36. სასამართლო თვლის, რომ *ratione materiae* კრიტერიუმთან დაკავშირებული ნებისმიერი პრეტენზია, რომელიც ეხება კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლს, არსებითად უნდა იქნეს განხილული. სასამართლო აღნიშნავს, რომ განაცხადი არ მიიჩნევა აშკარად დაუსაბუთებლად კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. შესაბამისად იგი მას არსებით განხილვაზე დაშვებულად აცხადებს.

### II. კონვენციის მე-6 მუხლის საგარაუდო დარღვევა

37. განმცხადებელი ჩიოდა სამართლიანი სასამართლოს უფლების სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებით, რომელიც უზრუნველყოფილია კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით და რომლის თანახმადაც:

“სამოქალაქო უფლებათა და ვალდებულებათა განსაზღვრისას .. ყველას აქვს უფლება სამართლიან სასამართლოზე”

## 1. მხარეთა არგუმენტაცია

38. განმცხადებლებმა განაცხადეს, რომ 2007 წელს *legge finanziaria* (№296/2006 კანონის) ძალაში შესვლამდე არსებული პრეცედენტული სამართლი, რომელიც დადგენილი იყო საკასაციო სასამართლოს 2004 წლის 6 მარტის გადაწყვეტილებით (იხ. 31-ე პუნქტი), არ იყო ბუნდოვანი და აღგენდა განმცხადებლების პენსიის გამოთვლის უფრო ხელსაყრელ სისტემას, რომელიც გამოიანგარიშებოდა “რეალურად მიღებული შემოსავლის” (გამომუშავებული ხელფასი) საფუძველზე, რომელსაც განმცხადებლები იღებდნენ შვეიცარიაში მუშაობისას. თუმცა ხსენებული კანონი განსაზღვრავდა პენსიის გამოანგარიშების ახალ მეთოდს, რომელიც ეფუძვნებოდა “თეორიულ გამომუშავებას”. ხსენებულმა კი გამოიწვია პენსიის შემცირება, რადგანაც ის თანხა, რომლის საფუძველზეც გამოანგარიშებულ იქნა განმცხადებელთა საპენსიო სრული თანხა და შესაბამისად ყოველთვიური პენსიაც, შემცირდა 25%. ამგვარად, ახალი კანონი განსაზღვრავდა ახალ წესებს იმ სიტუაციებთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშვა ამ კანონის ამოქმედებამდე და წარმოშვა პრეტენზიები მიმდინარე სამართლწარმოებისას, რაც ნიშნავს იმას რომ მათ გააჩნდათ უცუქცევითი ძალა. შედეგად, განმცხადებლებს, როგორც პენსიონერებს, ჩამოერთვათ პენსიის ნაწილი.

39. განმცხადებლების მტკიცებით, სასამართლოს პრეცედენტული სამართლის თანახმად, ასეთი სახის საკანონმდებლო ჩარევა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს ეკონომიკური მიზეზებით. გარდა ამისა, მთავრობამ ვერ დაადასტურა, რომ სხვა პირები, რომლებიც მუშაობდნენ საზღვარგარეთ, გარდა შვეიცარიისა, ან ის პირები, რომლებიც მუშაობდნენ იტალიაში და იხდიდნენ შედარებით დაბალ შენატანებს მათვის დაგენერილი სპეციალური რეჟიმების შესაბამისად, ასევე განიცადეს იმავე სახის მოპყრობა იმ მიზნით, რომ დაბალანსებულიყო ეკონომიკური სიტუაცია.

40. თუნდაც დავუშვათ რომ სოციალურ რეჟიმებში არსებული სოლიდარობის პრინციპის გამოყენება ემსახურებოდა ზოგად ინტერესებს, რაც შესაძლებელია გაეთვალისწინებინა სასამართლოს, განმცხადებლები აღნიშნავდნენ, რომ იტალიის სოციალური მზრუნველობის სისტემა არ გაუმჯობესებულა მნიშვნელოვნად და იმ დონეზე, რომ მას გაექარწყლებინა რაიმე სახის (დისკრიმინაციული) ზემოქმედება იმ პირებზე, რომლებიც აღმოჩნდენ განმცხადებლების მაგვარ სიტუაციაში.

41. მთავრობამ განაცხადა, რომ 1962 წლის სისტემა, როდესაც იტალია-შვეიცარიის კონვენცია შევიდა ძალაში, განსაზღვრავდა, რომ კალკულაცია უნდა განხორციელებულიყო რეალურად შეტანილი შენატანების საფუძველზე და არა მიღებული ხელფასის საფუძველზე. 1982 წელს ხსენებული შეიცვალა და INPS-მა კონკრეტულ პრეცედენტულ სამართლზე დაყრდნობით სცადა მოეხდინა 1982 წლის №1987 კანონის ინტერპრეტაციის ადაპტირება ახალ რეალობასთან, რა დროსაც შენარჩუნებული იქნებოდა იტალია შვეიცარიის კონვენციის

სულისკვეთება. INPS ის მიერ განმცხადებლებთან მიმართებაში გამოყენებული კრიტერიუმები ითვალისწინებდა განმცხადებლების მიერ შვეიცარიაში გადახდილ დაბალ შენატანებს, სახელდობრ კი ხელფასის 8%, მაშინ როდესაც იტალიაში ნიხრი შეადგენდა 32.7%. სხვაგვარად, განმცხადებლებს, როგორც იმ პირებს, რომლებიც მუშაობდნენ შვეიცარიაში, უფრო დიდი სარგებელი ექნებოდათ შესაბამის პერიოდში, რაც წარმოადგენდა უპირატესობას *vis-à-vis* იტალიის მოქალაქეებთან მიმართებაში, რომლებიც იხდიდნენ უფრო მაღალ საპენსიო შენატანებს და შვეიცარიის სხვა მოქალაქეებთან მიმართებაში, რომლებიც იღებდნენ შედარებით დაბალ პენსიას. თუმცა, გარკვეული რაოდენობის პირებმა, რომლებსაც შეეხოთ ზემოხსენებული კანონმდებლობა, მიმართეს ეროვნულ სასამართლოებს და გაასაჩივრეს მათი პენსიის გამოანგარიშების წესი. ასეთი საქმეების შედეგად მიღებულმა გადაწყვეტილებებმა შექმნეს უპირატესი, მაგრამ არა ცალსახა პრეცედენტული სამართალი, რომელიც ხელსაყრელი იყო უფრო პენსიონერებისათვის და რომელიც ეხებოდა ანაზღაურებაზე დაფუძვნებულ (“*retributivo*”) გამოანგარიშების მეთოდს. ხსენებული კი თავის მხრივ ეფუძვნებოდა ხელფასის იმ ოდენობას, რომელიც პირებმა მიიღეს შვეიცარიაში და არა იმ შენატანებს, რომლებიც მათ შეჰქონდათ შვეიცარიაში.

42. მთავრობის აზრით ადგილი არ ჰქონია კანონმდებლის მიერ განხორციელებულ ჩარევას. შესაბამისი დებულების განმარტება ნებისმიერ შემთხვევაში სადაო იყო, არსებობდა მხოლოდ პირებელი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და სულ მცირე ერთი საპელაციო წესით გასაჩივრებული საქმე, რომელიც ადასტურებდა INPS ის პრაქტიკას. უფრო მეტიც, კალკულაცია არ ეხებოდა უკვე გაცემულ პენსიებს. სადაო დებულების ძალაში შესვლა ემსახურებოდა კოლექტიური რესურსების თანასწორად გადანაწილებას. ხსენებული დებულების ამოქმედება გონივრული იყო, რადგანაც ხსენებული დებულება მიზნად ისახავდა იმ ინტერპრეტაციის ხელახლა განმარტებას, რომელსაც უკვე იყენებდა INPS და რომელიც განმტკიცებული იყო მცირერიცხოვანი პრეცედენტული სამართლით, რაც შესაძლებლობას იძლეოდა ერთი და იგივე ფასეულობა მიგვენიჭებინა იტალიასა თუ საზღვარგარეთ განხორციელებული მუშაობისათვის. ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ ყურადღების მიღმა არ უნდა დაგროვოთ ფინანსური ტვირთი, მიზეზი მხოლოდ ფინანსურ ასპექტებში არ მდგომარეობდა, როგორც ეს იყო საქმეებში *Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France* ([GC], nos. 24846/94 და 34165/96, 34173/96, ECHR 1999-VII), და *Scordino v. Italy* ((no. 1) [GC], no. 36813/97, ECHR 2006-V). უფრო მეტიც, ხსენებული კანონმდებლობის ამოქმედება აუცილებელი იყო, რადგანაც ადრე არსებული ინტერპრეტაცია მხოლოდ სიტყვასიტყვითი მიდგომით ხორციელდებოდა და გამომდინარეობდა სხვადასხვა დებულებაში ასახული ნორმატიული კონტექსტიდან.

## 2. სასამართლოს შეფასება

43. სასამართლომ მრავალჯერ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ კანონმდებელს არ ეკრძალება ახალი, უცუქცევითი ძალის მქონე დებულებებით მოაწესრიგოს მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე უფლებები, კანონის უზენაესობის პრინციპი და მე-6 მუხლით უზრუნველყოფილი სამართლიანი სასამართლოს ცნება კრძალავს, გარდა ისეთი შემთხვევებისა, რომლებიც განპირობებულია მწვავე საზოგადოებრივი ინტერესებით, კანონმდებლის ჩარევას მართლმსაჯულების განხორციელებაში იმ მიზნით, რომ ზემოქმედება მოახდინოს სასამართლო სამართალწარმოების განხორციელებაზე (სხვა მრავალ მაგალითს

შორის იხ. *Stran Greek Refineries and Stratis Andreadis v. Greece*, 1994 წლის 9 დეკემბერი, § 49, Series A no. 301-B; *National & Provincial Building Society, Leeds Permanent Building Society and Yorkshire Building Society v. the United Kingdom*, 1997 წლის 23 ოქტომბერი, § 112, *Reports* 1997-VII; და *Zielinski and Pradal and Gonzalez and Others v. France* [GC], nos. 24846/94 და 34165/96 to 34173/96, § 57, ECHR 1999-VII). მიუხედავად იმისა, რომ პენსიასთან დაკავშირებული საკანონდებლო დებულებები შეიძლება შეიცვალოს, ხოლო სასამართლო გადაწყვეტილება კი არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მომავალში ასეთი ცვლილებების საწინააღმდეგო გარანტიად (იხ. *Sukhobokov v. Russia*, no. 75470/01, § 26, 2006 წლის 13 აპრილი), იმ შემთხვევაშიც კი თუ ასეთი ცვლილებები გარკვეულ შედარებით არასახარბიელო მდგომარეობაში აყენებს პენსიის კონკრეტულ მიმდებ პირებს, სახელმწიფოს არ შეუძლია ჩაერიოს თვითნებურად საკითხის სასამართლო წესით განხილვის პროცესში (იხ. *mutatis mutandis, Bulgakova v. Russia*, no. 69524/01, § 42, 2007 წლის 18 იანვარი).

44. წინამდებარე საქმეში სასამართლომ უნდა განიხილოს თუ რა გავლენა იქნია №296/2006 წლის კანონმა მისი შემოღების პერიოდში. სასამართლო აღნიშნავს, რომ კანონი ნათლად გამორიცხავდა მისი მოქმედების სფეროდან იმ სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომლებიც ძალაში იყო უკვე შესული (პენსიებთან დაკავშირებული ურთიერთობა, რომლის ლიკვიდირებაც განხორციელდა) და უკუქვევითი ეფექტი გააჩნდა ყველა იმ დავასთან მიმართებით, რომელიც მიმდინარეობდა სასამართლოების წინაშე. და მართლაც №296/2006 წლის კანონის ამოქმედებამ მაშინ როდესაც სამართალწარმოება მიმდინარეობდა, სინამდვილეში განსაზღვრა მიმდინარე დავების არსი და სხვადასხვა სასამართლოების მიერ ხსენებული კანონის გამოიყენებამ უაზრო გახადა მთელი წელი ინდივიდებისათვის, რომლებიც განმცხადებლების მაგვარ სიტუაციებში იყვნენ, რათა გაეგრძელებინათ სასამართლო სამართალწარმოება. ამგვარად, მიღებულმა კანონმა რეალური გავლენა იქონია მიმდინარე სამართალწარმოების შედეგზე, რომლის ერთ ერთი მხარეც სახელმწიფო იყო, და გაამყარა სახელმწიფოს პოზიცია განმცხადებლის ინეტერესების საზიანოდ.

45. გასარკვევი რჩება სახეზე იყო თუ არა რაიმე სახის მწვავე საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე აუცილებლობა, რომელმაც შეიძლება გაამართლოს ასეთი სახის დონისძიება. კანონის უზენაესობის პრინციპის პატივისცემა და სამართლიანი სასამართლოს ცნება მოითხოვს, რომ ნებისმიერი მიზეზი, რომელიც მოყვანილი იქნება ასეთი დონისძიების გასამართლებლად შეფასებულ იქნეს განსაკუტრებული ყურადღებითა და სიფრთხილით (იხ. ზემოხსენებული საქმე *Stran Greek Refineries*, § 49).

46. სასამართლო აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ არგუმენტაციაში, მთავრობა აცხადებდა, რომ ნებისმიერი სხვა ფინანსური მიზეზის გარდა, №296/2006 კანონის გამოცემა გონივრული იყო და მიზნად ისახავდა იმ განმარტების ხელახლა წარმოჩნას, რომელსაც იყენებდა INPS და რომელიც განმტკიცებული იყო მცირე რაოდენობის პრეცედენტული სამართლით, რაც შესაძლებელს ხდიდა იგივე მნიშვნელობა მინიჭებულიყო იტალიაში გატარებულ სამუშაო პერიოდს, რაც საზღვარგარეთ გატარებულ პერიოდს და ამგვარად ამყარებდა წონასწორობას საპენსიო სისტემაში.

47. სასამართლომ აღრე უკვე დაადგინა, რომ ფინანსურმა მოსაზრებებმა თავისითავად არ შეიძლება განაპირობონ ის, რომ კანონმდებელმა ჩაანაცვლოს

სასამართლოები შესაბამისი დავის გადაწყვეტაში (*Scordino v. Italy (no. I)* [GC], no. 36813/97, § 132, ECHR 2006-V, და *Cabourdin v. France*, no. 60796/00, § 37, 2006 წლის 11 აპრილი).

48. სასამართლო აღნიშნავს, რომ 1982 წლის შემდგომ, INPS იუქნებდა კანონის იმ დროისათვის არსებულ ისეთ განმარტებას, რომელიც კველაზე ხელსაყრელი იყო მისთვის, როგორც, თანხების გადამხდელი ხელისუფლების ორგანოსათვის. ხენებული სისტემა არ იყო გამჟარებული მყარად დადგენილი პრეცედენტული სამართლით. სასამართლოს არ შეუძლია წარმოიდგინოს თუ რა გზით შეუძლია სუბიექტური და ცალმხრივი ინტერპრეტაციის განხორციელებას, რომელიც ხელსაყრელია სახელმწიფო ორგანოსათვის, როგორც სამართალწარმოების მონაწილე მხარისათვის, გაამართლოს საკანონმდებლო ჩარევა იმ დროს, როდესაც სასამართლო სამართალწარმოება მიმდინარეობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ასეთი ინტერპრეტაცია არამართებულად იქნა მიჩნეული მრავალჯერ ეროვნული სასამართლოების მიერ, მათ შორის საკასაციო სასამართლოს მიერ (იხ. 31-ე პუნქტი).

49. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ კანონის მიღება აუცილებელი იყო, რათა ადდგენილიყო წონასწორობა საპენსიო სისტემაში იმ ადამიანებისათვის პრივილეგიების მოხსნით, რომლებიც შვეიცარიაში მუშაობდნენ და იხდიდნენ ნაკლებ შენატანებს, სასამართლო ითვალისწინებს, რომ ხენებული შესაძლოა იყოს საზოგადოებრივი ინტერესი, თუმცა სასამართლო ვერ დარწმუნდა, რომ ხენებული ინტერესი იმდენად მწვავე იყო, რომ გადაეწონა ის საფრთხეები, რომელსაც მოიცავდა უკუქცევითი ძალის ქვემენტულობა, რომელიც თავის მხრივ ზეგავლენას ახდენდა მიმდინარე დავის სასამართლო სამართალწარმოებაზე, რომლის ერთი ერთი მხარეც სახელმწიფო იყო.

50. დასკვნის სახით, სახელმწიფო დაარღვია განმცხადებლის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტით უზრუნველყოფილი უფლება იმით, რომ იგი მნიშვნელოვნად ჩაერია, რათა უზრუნველეყო, რომ სამართალწარმოების შედეგი, რომლის მხარედაც სახელმწიფო ორგანო გვევლინებოდა ხელსაყრელი ყოფილიყო მისთვის. შესაბამისად ადგილი ჰქონდა ხენებული მუხლის დარღვევას.

### III. კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

51. პირველი განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ მისი პენსიის შემცირება, რაც გამოიწვია N°296/2006 კანონით დადგენილი მეთოდით პენსიის გამოანგარიშებამ, წარმოადგენდა მისი საკუთრების მშვიდობიანად განკარგვის უფლებაში ჩარევას კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, რომლის თანახმადაც:

“ყოველ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს აქვს თავისი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლება. მხოლოდ საზოგადოებრივი საჭიროებისათვის შეიძლება ჩამოერთვას ვინმეს თავისი საკუთრება კანონითა და საერთაშორისო სამართლის ზოგადი პრინციპებით გათვალისწინებულ პირობებში.

ამასთან, წინარე დებულებები არანაირად არ აქნინებს სახელმწიფოს უფლებას, გამოიყენოს ისეთი კანონები, რომელთაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისათვის, ან გადასახადებისა თუ მოსაკრებლის ან ჯარიმების გადახდის უზრუნველსაყოფად.”

### ა. მხარეთა კომენტარები

52. პირველმა განმცხადებელმა განაცხადა, რომ მისი სამომავლო პენსია უკვე დადგენილი იყო ადრე არსებული კანონმდებლობით და შესაბამისად წარმოადგენდა საკუთრებას. ის ფაქტი, რომ არასამართლიანი ჩარევის შედეგად პირველ განმცხადებელს უარი განუცხადეს ამ საკუთრების მიღებაზე, მისი აზრით არდვევდა კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით დადგენილ კანონიერების მოთხოვნას. უფრო მეტიც, პირველი განმცხადებლის მტკიცებით, მისი კატეგორიის პენსიონერები, როგორც სადაო დებულების ერთადერთი სამიზნეები, განიცდიდნენ მომეტებულ პირად ტვირთს გარკვეული საზოგადოებრივი ინტერესების ხარჯზე, რაც არასამართლიან ბალანსს ამკვიდრებდა.

53. მთავრობამ განაცხადა, რომ შესაძლო, პენსიის უფრო ხელსაყრელი ოდენობა არ შეიძლება წარმოადგენდეს უკვე დადგენილ პენსიას. ამგვარად, შესაბამის დროს განმცხადებლის საკუთრებას წარმოადგენდა მხოლოდ სადაო დებულების საფუძველზე INPS-ის მიერ მიკუთვნებული პენსია. უფრო მეტიც, ზემოხსენებული მიზეზების საფუძველზე, ადგილი არ ჰქონია ხსენებული დებულების დარღვევას, განსაკუთრებით მოყვანილი საზოგადოებრივი ინტერესების ფონზე, სახელდობრ კი იტალიის საპენსიო სისტემის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის საჭიროების უზრუნველყოფა.

## პ. ზოგადი პრინციპები

54. სასამართლო იმურებს, რომ მის მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებელს შეუძლია ამტკიცოს კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი სადაო გადაწყვეტილებები ეხება მის “საკუთრებას” ხსენებული დებულების მნიშვნელობით. “საკუთრება” შეიძლება იყო “არსებული საკუთრება” ან ფასეულობა, მათ შორის კონკრეტულ შემთხვევებში ნათლად განსაზღვრული პრეტენზიები. იმისათვის, რათა პრეტენზია ჩაითვალოს “ფასეულობად”, რომელიც ხვდება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სფეროში, განმცხადებელმა უნდა დაამტკიცოს, რომ ამ პრეტენზიას გააჩნია საქმარისი სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ სამართლში, მაგალითად, როდესაც არსებობს ეროვნული სასამართლების მიერ დადგენილი პრეცედენტული სამართალი, რომელიც ამ პრეტენზიას ადასტურებს. იმ შემთხვევაში თუკი ხსენებული განხორციელდება, “სამართლიანი მოლოდინის” კონცეპცია ამოქმედდება (იხ. *Maurice v. France* [GC], no. 11810/03, § 63, ECHR 2005-IX).

55. 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი არ უზრუნველყოფს, როგორც ასეთს, რაიმე სახის უფლებას საკუთრების მოპოვებაზე (*Van der Mussele v. Belgium*, 1983 წლის 23 ნოემბერი, § 48, Series A no. 70; *Slivenko v. Latvia* (dec.) [GC], no. 48321/99, § 121, ECHR 2002-II; და *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, § 35 (b), ECHR 2004-IX). ხსენებული მუხლი ასევე არ უზრუნველყოფს პენსიის გარკვეული ოდენობით მიღების უფლებას (მაგალითად *Kjartan Ásmundsson v. Iceland*, no. 60669/00, § 39, ECHR 2004-IX; *Domalewski v. Poland* (dec.), no. 34610/97, ECHR 1999-V; და *Janković v. Croatia* (dec.), no. 43440/98, ECHR 2000-X). ანალოგიურად პენსიის მიღების უფლება იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც განხორციელდა მოპასუხე სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ, არ არის უზრუნველყოფილი ამ მუხლით (*L.B. v. Austria* (dec.), no. 39802/98, 2002 წლის 18 აპრილი). თუმცა, პენსიასთან

დაკავშირებული “პრეტენზია” შეიძლება წარმოადგენდეს “საკუთრებას” 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, როდესაც მას გააჩნია

საკმარისი სამართლებრივი საფუძველი ეროვნულ კანონმდებლობაში, მაგალითად როდესაც ხსენებული დადასტურებულია ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (იხ. *Pravednaya v. Russia*, no. 69529/01, §§ 37-39, 2004 წლის 18 ნოემბერი; და *Bulgakova-ს* ზემოხსენებული საქმე § 31). ანალოგიურად, პენსიის მიღების უფლება იმ საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც პირმა განახორციელა მოპასუხე სახელმწიფოს გარეთ, სხვა სახელმწიფოში, არ არის უზრუნველყოფილი (იხ. *L.B. v. Austria* (dec.), no. 39802/98, 2002 წლის 18 აპრილი). თუმცა, პენსიასთან დაკავშირებული “პრეტენზია” შესაძლოა მიჩნეულ იქნეს “საკუთრებად” კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, როდესაც არსებობს საკმარისი საფუძველი ეროვნულ სამართლში, მაგალითად, როდესაც ხსენებული განმტკიცებულია ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით (იხ. *Pravednaya v. Russia*, no. 69529/01, §§ 37-39, 2004 წლის 18 ნოემბერი; და *Bulgakova-ს* ზემოხსენებული საქმე § 31).

56. სასამართლო იმუორებს, რომ 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი მოიცავს სამ განსხვავებულ წესს: “პირველი წესი, რომელიც მოცემულია პირველი პუნქტის პირველ წინადადებაში, ზოგადი ხასიათისაა და უზრუნველყოფს საკუთრების მშვიდობიანად განკარგვის პრინციპს; მეორე წესი, რომელიც განსაზღვრულია პირველი პუნქტის მეორე წინადადებაში მოიცავს საკუთრების და საგანგების ჩამორთმევას გარკვეული პირობებით; მესამე წესი, რომელიც განსაზღვრულია მეორე პუნქტში, აღიარებს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს აქვთ უფლება, სხვა მეთოდებთან ერთად, კონტროლი დააწესონ საკუთრების გამოყენებაზე საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისად. თუმცა სამი წესი არ არის “განსხვავებული” იმ კუთხით, რომ ისინი არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მეორე და მესამე წესი ეხება საკუთრების მშვიდობიანად განკარგვის უფლებაში ჩარევის კონკრეტულ შემთხვევებს და ამიტომაც განხილულ უნდა იქნეს პირველ წესში მოცემული ზოგადი პრინციპების ფონზე” (იხ. სხვა მაგალითებს შორის *James and Others v. the United Kingdom*, 1986 წლის 21 ოქტომბერი, § 37, Series A no. 98; *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, § 55, ECHR 1999-II; და *Beyeler v. Italy* [GC], no. 33202/96, § 98, ECHR 2000-I).

57. იმისათვის, რათა ჩარევა გამართლებულად ჩაითვალოს 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან მიმართებაში, უმნიშვნელოვანები პირობას წარმოადგენს ის, რომ იგი კანონიერად უნდა განხორციელდეს. ხელისუფლების ორგანოს მიერ საკუთრების მშვიდობიანად განკარგვაში განხორციელებული ნებისმიერი ჩარევა შესაძლებელია გამართლებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ემსახურება კანონიერ საზოგადოებრივ (ან ზოგად) ინტერესს. სახელმწიფო მცხოვრები საზოგადოებისა და მისი საჭიროებების უშუალო ცოდნის გამო, ხელისუფლების ეროვნული ორგანოები პრინციპში უკეთეს მდგომარეობაში არიან ვიდრე საერთაშორისო მოსამართლე, რათა გადაწყვიტონ თუ რა შედის “საზოგადოებრივ ინტერესებში”. კონვენციით დადგენილი დაცვის სისტემიდან გამომდინარე, სწორედ ხელისუფლების ორგანოებს გააჩნიათ იმის კოპატეტებიცია, რომ მოახდინონ პირველადი შეფასება საზოგადოებრივი პრობლემის არსებობასთან დაკავშირებით, რომელიც მოითხოვს საკუთრების მშვიდობიანად განკარგვის უფლებაში ჩარევას (იხ. *Terazzi S.r.l. v. Italy*, no. 27265/95, § 85, 2002 წლის 17 ოქტომბერი, და *Wieczorek v. Poland*, no. 18176/05, § 59, 2009 წლის 8 დეკემბერი). 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი მოითხოვს, რომ ნებისმიერი ჩარევა იყოს

გონივრულად პროპორციული იმ მიზნისა, რომლის რეალიზების სურვილიც გააჩნიათ ხელისუფლების ორგანოებს (იხ. *Jahn and Others v. Germany* [GC], nos. 46720/99, 72203/01 და 72552/01, §§ 81-94, ECHR 2005-VI). შესაბამისი სამართლიანი ბალანსი არ იქნება მიღწეული, როდესაც შესაბამისი პირს დაეკისრება ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტკირთი (იხ. *Sporrong and Lönnroth v. Sweden*, 1982 წლის 23 სექტემბერი, §§ 69-74, Series A no. 52).

58. როდესაც მისაღები სარგებლის ოდენობა მცირდება ან იგი საერთოდ შეუწყდება პირს, ხსენებული შესაძლოა წარმოადგენდეს ჩარევას საკუთრებაში, რაც გამართლებული უნდა იყოს (იხ. ზემოხსენებული საქმე *Kjartan Ásmundsson*, § 40, და *Rasmussen v. Poland*, no. 38886/05, § 71, 2009 წლის 28 აპრილი).

## გ. სასამართლოს შეფასება

59. სასამართლო აუცილებლად არ მიიჩნევს გადაწყვეტილება მიიღოს მთავრობის პირველად პრეტენზიასთან დაკავშირებით და განსაზღვროს ამ საქმეში პირველ განმცხადებელს გააჩნდა თუ არა ქონება 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით, რადგანაც ნებისმიერ შემთხვევაში იგი თვლის, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას შემდეგი მიზეზების გამო.

60. სასამართლო ადრე უკვე დაადგინა, რომ კანონმდებლობა, რომელსაც გააჩნდა უკუცევითი ძალა და მიჩნეულ იქნა საკანონმდებლო ჩარევად, შესაბამისობაში იყო 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან (იხ. *Maurice v. France* [GC], no. 11810/03, § 81, ECHR 2005-IX; *Draon v. France* [GC], no. 1513/03, § 73, 2005 წლის 6 ოქტომბერი, და *Kuznetsova v. Russia*, no. 67579/01, § 50, 2007 წლის 7 ივნისი). სასამართლო ვერ ხედავს რაიმე მიზეზს, რომ სხვაგვარი გადაწყვეტილება გამოიტანოს წინამდებარე საქმეში. სასამართლო ასევე უშვებს, რომ №296/2006 კანონის ამოქმედება ემსახურებოდა საჯარო ინტერესებს (როგორიც შეიძლება იყოს პარმონიზებული საპენსიო კალკულაციის უზრუნველყოფა, რომელიც მიზნად ისახავს დაბალანსებული და მდგრადი სოციალური უზრუნველყოფის სისტემის შექმნას).

61. იმის განხილვისას განხორციელებული ჩარევა წარმოადგენდა თუ არა გადაჭარბებულ ინდივიდუალურ ტკირთს პირველ განმცხადებელთან მიმართებაში, სასამართლომ გაითვალისწინა კონკრეტული კონტექსტი, რომელსაც ეხება კონკრეტული საკითხი წინამდებარე საქმეში, სახელდობრ კი სოციალური დაზღვევის სისტემას. ასეთი სისტემა გამოხატავს საზოგადოების სოლიდარობას მისი მოწყვლადი წევრების მიმართ (იხ. *mutatis mutandis, Goudswaard-Van der Lans v. the Netherlands* (dec.), no. 75255/01, ECHR 2005-XI).

62. სასამართლო აღნიშნავს, რომ №296/2006 კანონმა დაადგინა, რომ საპენსიო ანაზღაურება, რომელიც უკავშირდებოდა საზღვარგარეთ განხორციელებული საქმიანობის პერიოდს, უნდა გამოთვლილიყო გადარიცხული შენატანების ასზე გამრავლების და მიღებული ჯამის გაყოფით ინვალიდობის, საპენსიო ასაკის და მემკივიდრეების დაზღვევის სისტემით დადგენილ ნიხორზე, რომელიც გამოიყენებოდა შენატანების შეტანისათვის არსებულ პერიოდში. შედეგად, პირველი განმცხადებლის თანახმად, 1996 წელს, როდესაც მან დაიწყო პენსიის მიღება, და 2009 წელს შორის იგი ყოველთვიურად იღებდა პენსიას 873 ევროს ოდენობით და არა 1372 ევროს ოდენობით, რომელსაც იგი მიიღებდა რომ არ

მომხდარიყო სამართალწარმოებაში განხორციელებული ჩარევა, ხოლო 2010 წლიდან იგი იღებდა პენსიის სახით 1178 ევროს ნაცვლად 1900 ევროსი.

ხსენებული გამოანგარიშების საფუძველზე, სასამართლო ადგენს, რომ პირველმა განმცხადებელმა დაკარგა თავისი პენსიის ნახევარზე მნიშვნელოვნად ნაკლები თანხა. ამგვარად სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელს დაეკისრა ვალდებულება მოეთმინა გონივრული და ზომიერი შემცირება, და არა მისთვის კუთვნილი თანხის სრული ჩამორთმევა (იხ. ზემოხსენებული *Kjartan Ásmundsson* ის საქმე §45).

63. შედეგად, განმცხადებლის უფლება მიეღო სარგებელი შესაბამისი სოციალური დაზღვევის სისტემიდან, არ იქნა დარღვეული იმ დონეზე, რომ ხელი მისი პენსიის უფლების არსი. ხსენებულთან დაკავშირდებით სასამართლო აღნიშნავს, რომ განმცხადებელმა ფაქტიურად უფრო დაბალი შენატანები შეიტანა შეგიცარიაში, ვიდრე იგი გადაიხდიდა იტალიაში და ამგვარად მას შეეძლო უფრო მეტი სარგებელი მიეღო შესაბამის დროს. უფრო მეტიც, ხსენებულმა შემცირებამ გაათანაბრა გარკვეული ასპექტები და თავიდან აიცილა განმცხადებლისა და მის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი სხვა პირებისათვის გაუმართლებელი პრივილეგიები (რაც გამოწვეული იყო იტალიაში გადასახლების გადაწყვეტილებით). ხსენებულის ფონზე, თუკი მხედველობაში მივიღებთ სახელმწიფოს ფართე შეფასების ზღვარს საპენსიო სისტემის რეგულირების საკითხთან დაკავშირებით და იმ ფაქტს, რომ განმცხადებელმა მხოლოდ ნაწილობრივ დაკარგა პენსია, სასამართლო თვლის, რომ განმცხადებელს არ დაკისრებია ინდივიდუალური და გადაჭარბებული ტვირთი.

64. ხსენებულიდან გამომდინარეობს, რომ თუნდაც ვთქვათ, რომ კონვენციის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი გამოიყენება ამ საქმეში, ადგილი არ ჰქონია მის დარღვევას.

#### IV. კონვენციის მე-13 მუხლის საგარაუდო დარღვევა

65. მეორე, მესამე, მეოთხე და მეხუთე განმცხადებლები ჩიოდნენ, რომ არსებული პრეცედენტული სამართლის ფონზე, ნებისმიერი სამართლებრივი დაცვის სასამართლო საშუალება არ იქნებოდა შედეგის მომგანი. ამგვარად განმცხადებლებს არ გააჩნდათ რაიმე შესაძლებლობა ხელმისაწვდომობა პქონოდა სამართლებრივი დაცვის ეროვნულ საშუალებაზე კონვენციის მე-6 მუხლთან დაკავშირებულ პრეტენზიებთან მიმართებაში. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ კონვენციის მე-13 მუხლს, რომლის თანახმადაც:

“ყველას, ვისაც დაერღვა ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები, უნდა ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება ეროვნული ხელისუფლებისაგან, თუნდაც ეს დარღვევა ჩაიდინოს პირმა, რომელიც სამსახურებრივ უფლებამოსილებას ახორციელებდა.”

66. მთავრობა ამტკიცებდა, რომ განმცხადებლებმა გამოიყენეს სამართლებრივი დაცვის სასამართლო საშუალებები, რათა გაესაჩივრებინათ INPS –ს მიერ მათვის კუთვნილი პენსიის გამოთვლის მეთოდი. უფრო მეტიც საკონსტიტუციო სასამართლომ ასევე გამოიტანა გადაწყვეტილება ხსენებულ საკითხთან დაკავშირებით 2008 წლის 28 მაისს და დაადგინა, რომ შესაბამის დებულებასთან დაკავშირებული ინტერპრეტაცია რაციონალური იყო და ადგენდა წონასწორობას

საზღვარგარეთ შეტანილ საპენსიო შენატანებსა და იტალიაში გადასახდელ პენსიას შორის.

67. ითვალისწინებს რა მე-6 მუხლთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებას (იხ. 50-ე პუნქტი), სასამართლოს მიაჩნია, რომ აუცილებელი არ არის იმის განხილვა ადგილი პქონდა თუ არა წინამდებარე საქმეში კონვენციის მე-13 მუხლის დარღვევას.

#### IV. კონვენციის მე-14 მუხლის საგარაუდო დარღვევა

68. პირველი განმცხადებელი ასევე ჩიოდა, რომ იგი დაექვემდებარა დისკრიმინაციას კონვენციით გარანტირებული უფლებებით სარგებლობასთან მიმართებაში, რადგანაც პენსიასთან დაკავშირებული მისი პრეტენზიები არ ყოფილა შესაბამისი დროისათვის განხილული და დასრულებული გასხვავებით იმ პირებისაგან, რომელთა სამართლწარმოებაც დასრულდა უკვე. ყოველივე სენებული კი წარმოადგენდა კონვენციის მე-14 მუხლის მე-6 და/ან 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან კავშირში. განმცხადებელი ეყრდნობოდა კონვენციის მე-14 მუხლს, რომლის თანახმადაც:

“ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესის, რასის, კანის ფერის, ქნის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთხით კონვენციის, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადებისა თუ სხვა სტატუსის განურჩევლად.”

69. მთავრობამ განაცხადა, რომ იტალია-შვეიცარიის კონვენციის შესაბამისად, INPS –მა პენსიები გადაიხსადა მას შემდგომ რაც მხედველობაში მიიღო შვეიცარიაში გატარებული სამუშაო პერიოდი და იქ შეტანილი საპენსიო შენატანები. სენებულით INPS-მა თავიდან აირიდა ზემოხსენებული პრივილეგიები. იმ პირების შემთხვევაში, რომელთაც არ გაუსაჩივრებიათ INPS-ის მიერ გადახდილი პენსიის ოდენობა, სენებული პენსიის ოდენობა ასევე დარჩა. მათ ვინც გაასაჩივრეს სენებული ოდენობა, შესაძლოა პქონოდათ მხოლოდ წარმატებული შედეგის იმედი. თუმცა №296/2006 კანონის პრაქტიკული ეფექტი ის იყო, რომ მიმდინარე სამართლწარმოებასთან დაკავშირებული სასამართლო გადაწყვეტილებები ადასტურებდნენ INPS-ის მიერ მიკუთვნებულ ოდენობას. ამგარად ადგილი არ პქონია დისკრიმინაციას, განსაკუთრებით იმის ფონზე, რომ 296/2006 კანონი მიზნად ისახავდა პომოგენური სიტუაციის დამყარებას იმით, რომ აუქმებდა საზღვარგარეთ დასაქმებული პირებისათვის გაუმართლებელ პრივილეგიებს. მთავრობის შემდგომ კომენტარებში, რომელიც ეყრდნობოდა INPS ის მიერ მომზადებულ მოხსენებას, მთავრობა აცხადებდა, რომ ნებისმიერი უპირატესი მოპყრობა იმ პირებთან მიმართებით, რომელთა პენსიაც უკვე ლიკვიდირებულ იქნა, გარდაუგალი იყო და სენებული აუცილებელი იყო მთავრობისათვის, რათა მას საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე კონტროლი დაწესებინა საკუთრებაზე.

70. სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-6 მუხლი გამოიყენება წინამდებარე საქმეში და სენებული საკმარისია იმის დასადგენად, რომ ასევე გამოიყენება მე-14 მუხლიც.

71. სასამართლო იმეორებს, რომ გამნსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუკი მას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება; სხვა სიტყვებით,

რომ ვთქვათ თუკი იგი არ ემსახურება კანონიერ მიზანს ან თუკი არ არსებობს გონივრული პროპორციულობა გამოყენებულ საშუალებებსა და მისაღწევ მიზანს შორის. ხელშემკვრელი სახელმწიფოებს გააჩნიათ შეფასების ზღვარი იმის შეფასებისას ამართლებენ თუ არა და რა დონით არსებული განსხვავებული სიტუაცია გასხვავებულ მოპყრობას (*Stec and Others*, [GC], nos. 65731/01 და 65900/01, § 51, ECHR 2006-VI). ხენებული შეფასების ზღვარი განსხვავდება გარემოებებიდან გამომდინარე, და დამოკიდებულია იმაზე თუ რა საკითხს ეხება იგი და რა სახის წარსულის ფონზე განხორციელდა ხენებული. სასამართლომ ადრე უკვე დაადგინა, რომ შესაბამისი თარიღის არჩევანი, თუ როდის უნდა განხორციელდეს სოციალური დაზღვევის სისტემის ტრანსფორმირება უნდა ჩაითვალოს, რომ ხედება სახელმწიფოს ფართე შეფასების ზღვარში, როდესაც იგი ახორციელებს მის სოციალურ სტრატეგიასთან დაკავშირებულ პოლიტიკას (იხ. *Twizell v. the United Kingdom*, no. 25379/02, § 24, 2008 წლის 20 მაისი).

72. განხილვის საგანს წარმოადგენს ის, რომ წინამდებარე საქმეში პენსიის სადაო შეკვეცა, რომელიც გამომდინარეობდა 296/2006 კანონიდან, გონივრულად და ობიექტურად გამართლებულად შეიძლება თუ არა რომ ჩაითვალოთ.

73. მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ 296/2006 კანონის მიზანს წარმოადგენდა ნებისმიერი პრივილეგიებული მოპყრობის აღმოფხვრა, რომელიც გამომდინარეობდა შესაბამისი დებულებების ადრე არსებული ინტერპრეტაციიდან, რომელიც უზრუნველყოფდა პირველი განმცხადებლის ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისათვის გაუმართლებელ უპირატესობას იტალიის სოციალური დაცვის სისტემის საჭიროებების ფონზე. სასამართლო იმეორებს, რომ საპენსიო ტანხების სისტემის განსაზღვრისას, ზოგჯერ აუცილებელია გარკვეული ნიხევების შემცირება, რომელიც ეხება პირთა დიდ ჯგუფს და რომელიც შესაძლოა გარკვეულწილდა მოგვეჩენოს თვითნებურად (იხ. ზემოხსენებული *Twizell*-ის საქმე §24). სასამართლო თვლის, რომ ახალი ცვლილებების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენს ადრე არსებული სისტემის შეცვლა. ამგარად, წინამდებარე საქმეში, სახელმწიფოსათვის ამ სფეროში მინიჭებული შეფასების ზღვარის გათვალისწინებით, სადაც შეკვეცა შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად და ობიექტურად გამართლებულად.

74. ის ფაქტი, რომ სადაც შეკვეცის თარიღი, რომელიც კანონმდებლობით იქნა დადგენილი, დაემთხვა პირველი განმცხადებლის სამართალწარმოების მიმდინარეობას, რომლის განხილვის საგანსაც წარმოადგენდა განმცხადებლის პენსიის დადგენა, არ ცვლის ზემოხსენებულ დასკვნას მე-14 მუხლის განხილვის კონტექსტში.

75. ხენებულიდან გამომდინარეობს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-14 მუხლის დარღვევას მე-6 მუხლთან კავშირში.

## VI. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

76. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

“თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მადალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.”

## ა. ზიანი

77. ბ-ნი მაგგიო პრეტენზიას აცხადებდა 140 000 ევროზე, პლიუს გარკვეული პროცენტი, რათა დაფარულიყო პენსიებს შორის ის სხვაობა, რომელსაც განმცხადებელი იღებდა შესაბამისი წლების განმავლობაში, სახელდობრ კი განმცხადებელმა ინფლაციის გათვალისწინებით ხსენებული თანხა შეაფასა 100360 ევროდ. იგი ითხოვდა 1900 ევრო ყოველთვიური პენსიის სახით.

78. სხვა განმცხადებლები ითხოვდნენ თანხას პენსიების ნაწილობრივ დაკარგვის ასანაზღაურებლად დაწყებული იმ დღიდან, როდესაც ისინი უნდა გადახდილიყო, 78 წლის ასაკის მიღწევამდე მამაკაც განმცხადებლებთან მიმართებაში და 82 წლამდე ქალბატონ განმცხადებლებთან მიმართებაში (რაც წარმოადგენს დარჩენილი ცხოვრების განმავლობაში მისაღებ თანხებს) რაც მათი გამოთვლით შეაღგენდა შემდეგ თანხებს, 1.380.000 ევროს ბ-ნ გაბრიელთან მიმართებაში, 746,022.42 ევროს ბ-ნ ფაჩიოლისთან მიმართებაში, 1,671,082.53 ევროს ქ-ნ ფორგიოლისთან მიმართებაში და 903,948.24 ევროს ქ-ნ ზარანდინისთან მიმართებაში.

79. ყველა განმცხადებელმა მოითხოვა მორალური ზიანის ანაზღაურება, რომლის ადექვატური ოდენობის განსაზღვრაც სასამართლოს მიანდეს.

80. სასამართლო აღნიშნავს, რომ წინამდებარე საქმეში სამართლიანი დაკმაყოფილების მინიჭება შესაძლებელია დაეფუძვნოს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ განმცხადებლებს არ უსარგებლიათ კონვენციის მე-6 მუხლით გარანტირებული სამართლიანი სამართალწარმოებით. მაშინ როდესაც სასამართლოს არ შეუძლია სპეციულირება განახორციელოს იმასთან დაკავშირებით თუ რითი დამთავრდებოდა ეროვნული სასამართლო სამართალწარმოება, მოვლენები სხვაგვარად რომ წარმართულიყო, სასამართლო არაგონივრულად არ მიიჩნევს, რათა ჩათვალოს, რომ განმცხადებლებმა განიცადეს რეალური ზიანი (იხ. Zielinski-ის ზემოხსენებული საქმე, § 79 და *SCM Scanner de l'Ouest Lyonnais and Others v. France*, no. 12106/03, § 38, 2007 წლის 21 ივნისი), ამგვარად, თუკი მხედველობაში მივიღებთ თითოეული განმცხადებლის მიერ შვეიცარიაში ნამუშევარ პერიოდს, სასამართლო მატერიალური ზიანის სახით აკუთვნებს 20 000 ევროს ბ-ნ მაგგიოს და 50 000 ევროს თითოეულ დარჩენილ განმცხადებელს. ხსენებულს უნდა დაემატოს მორალური ზიანი, რომლის ასანაზღაურებლად მხოლოდ წინამდებარე გადაწყვეტილების გამოტანა არ კმარა. იმსჯელა რა თანასწორობის საფუძველზე, როგორც ეს მოთხოვნილია კონვენციის 41-ე მუხლით, სასამართლო აკუთვნებს თითოეულ განმცხადებელს 12 000 ევროს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

## ბ. ხარჯები და გაწეული დანახარჯები

81. პირველი განმცხადებელი ასევე ითხოვდა 10.000 ევროს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯებისათვის, რომელთა გადებაც მას მოუხდა ეროვნული სასამართლოებისა და სტრასბურგის სასამართლოს წინაშე გამართულ სამართალწარმოებასთან დაკავშირებით. დარჩენილი განმცხადებლებიც ითხოვდნენ თანხებს ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების ასანაზღაურებლად და ხსენებული თანხების ოდენობის განსაზღვრა მიანდეს სასამართლოს.

82. მთავრობას არ წარუდგენია სასამართლოსათვის რაიმე სახის კომენტარები ხელში საკითხთან დაკავშირებით.

83. სასამართლო პრეცედენტში სამართლის თანახმად, განმცხადებელი უფლებამოსილია მოითხოვოს იმ ხარჯებისა და გაწეული დანახარჯების ანაზღაურება რომელთა გაღებაც მოხდა რეალურად და საჭიროებისამებრ და რომლებიც თავისი მოცულობით გონივრულია. წინამდებარე საქმეში ზემოხსენებული კრიტერიუმის გათვალისწინებით და იმ ფაქტის მხედველობაში მიღებით, რომ სასამართლოს წინაშე არ ყოფილა წარდგენილი რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა მოთხოვნილი თანხების რეალურად გაღებას განმცხადებლების მიერ, სასამართლო სრულად უარყოფს ხარჯებსა და გაწეულ დანახარჯებთან დაკავშირებულ პრეტენზიას.

## გ. საურავი

84. სასამართლო შესაფერისად თვლის, რომ საურავი განისაზღვროს ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ დადგენილი მინიმალური ნიხრით, რასაც უნდა დაემატოს თანხის სამი პროცენტი.

## სსენაციული მიზანებიდან გამომდინარე, სასამართლომ მოთხოვა

1. გადაწყვიტა, რომ თანადროულად განეხილა საქმის არსებითი მხარე და მთავრობის პირველადი პრეტენზია განმცხადებლის მიერ კონკრეტულის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ელ მუხლთან დაკავშირებულ საჩივართან მიმართებაში, და დაშვებულად გამოეცხადებინა არსებით განხილვაზე განმცხადებელთა უკეთა სხვა პრეტენზია;

2. დაადგინა, რომ დაირღვა კონკრეტულის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტი კვეთა განმცხადებლთან მიმართებით;

3. დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონკრეტულის 1-ლი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი პირველ განმცხადებელთან მიმართებით და არ არის აუცილებელი განხილული იქნება მთავრობის ზემოხსენებული პრეტენზია საკითხის არსებითად განხილვის შემდგომ;

4. დაადგინა, რომ აუცილებელი არ არის მეორე, მესამე, მეოთხე და მეუთხმე განმცხადებლის პრეტენზიების განხილვა კონკრეტულის მე-13 მუხლთან მიმართებაში;

5. დაადგინა, რომ არ დარღვეულა კონკრეტულის მე-14 მუხლი მე-6 მუხლთან კავშირში თითოეულ განმცხადებლთან მიმართებაში

6. დაადგინა

- ა) რომ მოპასუხე სახელმწიფომ კონკრეტის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 თვეში, უნდა გადაუხადოს;
  - (i) 20000 ევრო (ოცი ათასი ევრო) ბ-ნ მაგგიოს და 50000 (ორმოცდაათი ათასი ევრო) თითოეულ დანარჩენ განმცხადებელს მატერიალური ზიანისათვის;

(ii) 12000 ევრო (თორმეტი ათასი ევრო) პლიუს ნებისმიერი გადასახადი, რომლითაც შეიძლება დაიბეგროს თანხა, თითოეულ განმცხადებელს მორალური ზიანისათვის;

ბ) რომ ზემოხსენებული 3 თვიანი ვადის გასვლის შემდგომ გადახდის დღემდე საურავი უნდა იქნეს გადახდილი იმ მოცულობით, რაც უტოლდება ეგროპული ბანკის სესხისათვის განკუთვნილ მინიმალურ პროცენტს, რომელსაც უნდა დაემატოს სამ პროცენტიანი განაპვეთი

7. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან დაგმაყოფილებასთან დაკავშირებით

შესრულებულია ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, და გაცხადებულია წერილობითი სახით 2011 წლის 31 მაისს სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მქ-2 და მქ-3 პუნქტების შესაბამისად

ფრანსუაზა ელენს-პასსოსი  
რეგისტრატორის მოადგილე

ფრანსუაზა ტულკენსი  
თავმჯდომარე